წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 6

ქ. წალენჯიხა 2023 წლის 28 აპრილი

2023 წლის 28 აპრილს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი გოგიბერიძე, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12[00] სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12[30]საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით, რომელიც ღია კენჭისყრით, დამტკიცდა ერთხმად (განკარგულება N9)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხსენებელი:**კორნელი სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2."წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4.სხვადასხვა.

მოისმინეს: 1.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი გოგიბერიძემ. ის შენიშვნები, რომელიც სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომაზე იქნა წამოყენებული, სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და განსახილველად წარმოდგენილ იქნა რედაქტირებული პროექტი.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 იანვრის N1 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალიწინებდა გამონაკლის, ფორსმაჟორულ შემთხვევებს, როცა ბენეფიციარზე გასაცემი თანხა, არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით, უნდა გაიცეს გაცილებით მეტი, ვიდრე სტანდარტულ შემთხვევებში. ამ დროს მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს დახმარების ოდენობას 200 დან 1000 ლარამდე ფარგლებში. თუმცა, მერის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხი უნდა განიხილოს სოციალურმა კომისიამ და რეკომენდაცია მისცეს მერს გასაცემი თანხის ოდენობის თაობაზე. რაც ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტაცია გადის ორმაგ გადამოწმებას, როგორც უშუალოდ მერის მხრიდან, ისე კომისიის მიერ და ეს დაკავშირებულია გარკვეულ ბიუროკრატიულ პროცესებთან, რომელიც აყოვნებს ექსტრემალურად საჭირო დახმარების გაცემას.

გამომდინარე აქედან, აუცილებელია შევიდეს ცვლილებები „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალიწინებული ჯანმრთლობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესში.

კომისიაზე გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, დადგენილების რედაქტირებულ ვარიანტში, ეს შემთხვევა მოწესრიგდა შემდეგნაირად: როდესაც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის დასაბუთებული შუამდგომლობიდან ირკვევა, რომ მის მიერ ბენეფიციარზე გასაცემია ერთჯერადი დახმარების ოდენობა დაუყოვნებლივ, არასტანდარტული ოდენობით, საკითხს უმოკლეს ვადაში შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური, წარუდგენს მერს დასკვნას და შემდგომ, მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს ბენეფიციარზე გასაცემი დახმარების ოდენობას 200-დან 1000-ლარამდე ფარგლებში. “წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების

წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების რედაქტირებულ ვარიანტში სხვა ცვლილებები კომისიის შენიშვნის გათვალისწინებით არ ყოფილა წარმოდგენილი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N17.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. ცვლილება განპირობებულია "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანით. ამ აქტში შეტანილმა ცვლილებამ გამოიწვია „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N18.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**